N 01/7425
29/09/2022

7425-01-2-202209290850

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“
ტექნიკურ დირექტორს
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
დავით ხიდეშელს

მის. ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ., N 6

ბატონო დავით,

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს“ შორის 2022 წლის 05 მაისის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N0300/30/099 ხელშეკრულება, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

აღნიშნული ხელშეკრულების დანართი N1 - ტექნიკური დავალების მე-3 მუხლის შესაბამისად, „სამუშაოების დაწყებამდე მიმწოდებელმა აუცილებლად უნდა დაამუშაოს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.“

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2022 წლის 12 ივლისის წერილით გეცნობათ თქვენ მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა წარმოების პროექტის ხარვეზების შესახებ. აღნიშნული წერილით მოთხოვნილ იქნა დეტალური სამუშაოთა წარმოების პროექტის წარმოდგენა, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა სამუშაოების სწორი ორგანიზება და პროექტის განხორციელება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. 2022 წლის 2 აგვისტოს კიდევ ერთხელ მოგმართეთ აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნით, თქვენ მიერ მხოლოდ 2022 წლის 12 აგვისტოს იქნა წარმოდგენილი (კომპანიაში რეგისტრაციის №10017/01 12.08.22წ.) „სამუშაოთა წარმოების პროექტის კორექტირებული ვარიანტი“, რომელიც განიხილა კომპანიის შესაბამისმა სამსახურებმა და მათი მხრიდან კვლავ გამოთქმულია შემდეგი შენიშვნები:

მოწოდებული დოკუმენტი წარმოადგენს არა 2022 წლის 20 ივნისის №M-218/22 წერილით (კომპანიაში რეგისტრაციის №7302/01 20.06.22წ.) დახარვეზებული სამუშაოთა წარმოების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს არამედ, კომპანიის გენერალური დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის №01/5500 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე არასრულ პასუხს. დოკუმენტში დასაბუთებულია მხოლოდ სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო დროის მოცულობა, კვლავ არ არის სქემატურად გამოსახული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მგზავრთა და მომსახურე პერსონალის მოძრაობის მიმართულება;

ასევე, არ არის ნაჩვენები როგორ იქნება უზრუნველყოფილი საინჟინრო ქსელების დემონტაჟის შემდგომ მეტროპოლიტენის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი დანადგარების და მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობა, როგორ ეწყობა დროებითი განათების ქსელი, წყალმომარაგება, ენერგომომარაგება, სუსტი დენების ქსელები და სხვა;

წინასწარი კონსულტაციების საშუალებით, არ არის შეთანხმებული მეტროპოლიტენის მოძრაობის სამსახურთან სადგურ „სამგორში“ მატარებლის განსაზღვრული ვაგონების მგზავრებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა.

კალენდარულ გეგმა-გრაფიკში სამუშაოთა ჩამონათვალის შემდეგ გრაფაში, მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა საერთოდ არ არის მითითებული მეტროპოლიტენის მუშაობის რომელ რეჟიმში მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაო (დახურული; ღია; ფანჯრის; თუ შერეულ რეჟიმში);

ასევე, არ არის აღწერილი როგორ განხორციელდება ესა თუ ის ტექნოლოგიური პროცესი, არ არის განმარტებითი ბარათი და სხვა.

თქვენ მიერ არ არის გათვალისწინებული, რომ მეტროსადგური „ვარკეთილი“ წარმოადგენს მგზავრთა ნაკადით ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ სადგურს, შესაბამისად, მგზავრთა მოძრაობის სრულად შეწყვეტის პერიოდი უარყოფითად აისახება ქალაქის ტრანსპორტის სისტემაზე. ამდენად, აღნიშნული პერიოდი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღემდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილი სამუშაოთა წარმოების პროექტის კორექტირებული ვარიანტი არ არის შედგენილი სნდაწ 3.01.01-85 -ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნების დაცვით.

ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის, ხოლო მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 45 დღის შემდეგ, კვლავ არ იყო წარმოდგენილი დეტალური და დასაბუთებული სამუშაოთა წარმოების პროექტი. დღეის მდგომარეობით გასული არის ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადის მეოთხედი ნაწილი, შესაბამისად არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ხელშეკრულების შესრულება ვადაში თქვენი მხრიდან ვერ მოხდება.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა, აღნიშნული საქმიანობის ჯეროვნად განხორციელებისთვის აუცილებელია გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოცხადებული ტენდერი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა არსებითად შეუშლის ხელს კომპანიას თავისი ფუნქციების შესრულებაში, ასევე, გამომდინარე განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესიდან, მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულება შესრულდეს დადგენილ ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, წარმოადგინოთ სრულყოფილი სამუშაოთა წარმოების პროექტი, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება სამუშაოების სწორი ორგანიზება და შეთანხმებიდან 2 (ორი) დღის ვადაში დაიწყოთ სამუშაოების წარმოება, პროექტის განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ განიხილავს 2022 წლის 05 მაისს დადებული N0300/30/099 ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი

LLC Tbilisi Transport Company

Digitally signed by LLC Tbilisi Transport Company
Date: 2022.11.04 11:55:05 +04'00'